



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 10 „21“ 11 2019 6.

დადგენილება № 55

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N35 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის N35 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და აღნიშნული წესის:
 - ა) მე-3 მუხლის 3.1. პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ აბიტურიენტმა უნივერსიტეტში სასწავლებლის მიერ დადგენილ ვადებში გაიაროს რეგისტრაცია.“
 - ბ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს ოთხი სემესტრის განმავლობაში. გარდა ამავე წესის მე-16 მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“
2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, სასწავლო პროცესის მართვის განყოფილებას და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მკა ბერიძე